საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2654 2017 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით დამტკიცებული ასიგნებების ცვლილების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნების 275 800 (ორას სამოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარით გაზრდისა და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ეკონომიკური კლასიფიკაციის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დამტკიცებული ასიგნების 275 800 (ორას სამოცდათხუთმეტი ათას რვაასი) ლარით შემცირების თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**